ხობის მოამბე

„თვითმმართველობა უკეთესი გზაა ადგილის ყოველგვარი საქმეების. საკუთარ უნდა გადაწყვიტონ, იგი ყველაზე სწორია... ყოველი საზოგადოებრივი, თავისუფალ ცოდნით თუ ზეციურად გადაძღვანილი, ხალხად-ხალხად ანის გადაყოფილი, რომ მოგდია და აუცილებლად ეტყობა ადგილი იყოს.“

№3 (7106) 29 მარტი, პარასკევი, 2019 წელი.

ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

ზვიად გამსახურდია–80

პირველი პრეზიდენტი...



ჩვენი ქვეყნის ისტორიაში 1939 წლის 31 მარტი მნიშვნელოვანი თარიღია. სწორედ 31 მარტს დაიბადა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, მეცნიერი, მწერალი, მთარგმნელი, ესეისტი ბატონი ზვიად გამსახურდია.

ზვიად გამსახურდია იყო სოლომონ დოდაშვილის, დიმიტრი ყიფიანის, ალექსანდრე ორბელიანის, ალექსანდრე ბატონიშვილის, ილია ჭავჭავაძის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, კოტე აფხაზის, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, პავლე ინგოროყვას და სხვათა იდეების ღირსეული მემკვიდრე.

ზვიად გამსახურდია თექვსმეტი წლისა იყო პირველად რომ დააპატიმრეს, მას შემდეგ სიკვდილამდე მოუსვენრად იცხოვრა. „ადამიანში არის რაღაც, რასაც ვერაფრით შეცვლი, ალბათ ესაა ბედისწერა, მე არასოდეს მიფიქრია სხვაგვარ ცხოვრებაზეო“, წერდა იგი თავის სულიერ ძმას მერაბ კოსტავას. ზვიად გამსახურდია გამოუსწორებელი მეამბოხე იყო, მაგრამ ამ ტვირთისგან გათავისუფლება არასოდეს უცდია. თავისუფლება, როგორც ამ ქვეყნად არსებული უმაღლესი ღირებულება–კვლავ დამკვიდრდა ჩვენს ეროვნულ შეგნებაში. რაც სამარადჟამოდ დაუკავშირდა მის სახელს.

1907 წელს მეოცე საუკუნის დადგომიდან მეშვიდე წელს, მოკლეს ილია ჭავჭავაძე, 1993 წელს კი მეოცე საუკუნის დასასრულამდე შვიდი წლით ადრე დაიღუპა ზვიად გამსახურდია. არის ამაში სიმბოლური დამთხვევები. ზვიად გამსახურდიამ გაიარა ყველა საფეხური, რასაც გადიან ქრისტეს გზაზე შემდგარი ადამიანები.

„იგი დევნილი იყო სიყრმის ჟამს, დევნილი იყო სტუდენტობის დროს. ახალგაზრდობაში დევნილი იყო როგორც მწერალი. პარადოქსი ის არის, რომ სიკვდილშიც დევნილია... იდუმალებითაა მოსილი მისი აღსასრულიც, ტაჯვით აღსავსე მისი უკანასკნელი დღეები“,–წერდა თავისი თანამებრძოლი, ლიტერატორი თემურ ქორიძე.

ზვიად გამსახურდია ერთ-ერთი ის პიროვნებაა, რომელსაც თავისი თანამედროვეობა უსასტიკესად მოექცა. მთელი მისი ცხოვრება არის მოწამებრივად აღსრულებული ეროვნული გმირის ცხოვრება, რომელიც სიყრმიდანვე აეყოლებინა ქართველის ბედს.

დიდი კონსტანტინე გამსახურდია თავის დროზე ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებით შენიშნავდა, რომ ილია იყო ჩვენი ერის ტრაგიკული ისტორიის დრამატურგიც, რეჟისორიც და მთავარი პროტაგონისტიც, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს სიტყვები ასეთივე სიზუსტით მიესადაგებოდა ზვიად გამსახურდიას. დიახ, იგი იყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ტრაგედიის დრამატურგიც, რეჟისორიც და მთავარი პროტაგონისტიც.

ყველა დროს, თუნდაც ეპოქას ჭირდებოდა შემმახებელი, რომ საღათას ძილს არ მისცემოდა. ქართველ ერს სწორედ XX საუკუნის მეორე ნახევარს ასეთ პიროვნებად მოევლინა ზვიად გამსახურდია.

ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდება 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის ჩატარება, რომლის საფუძველზე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ხოლო საქართველოს ისტორიაში ქვეყნის პირველ პრეზიდენტად 26 მაისს აირჩა ზვიად გამსახურდია.

„წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა დასრულდა დიდიო“–წერდა გალაკტიონი. ასევე დასრულდა „მთელი ეპოქა“ ზვიადის სიკვდილის შემდეგ. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, უკეთეს დროს, ანდა ისევ და ისევ გონებას მოვუხმოთ და ნაბიჯ-ნაბიჯ ვიაროთ გაერთიანებისკენ, რომლის დევიზი იქნება „საქართველო უპირველეს ყოვლისა“.



„ღვთისა და მამულისთვის თავგანწირვა დღეს ერთადერთი გზაა გადარჩენისა“

ზვიად გამსახურდია

18 მარტს პირველი პრეფექტი თენგიზ ქაჯაია დაბადებულა...



6

პირველი ქართველი მოკრივე ქალი ევროპის ჩემპიონატის მედლით

პირველი ქართველი მოკრივე გოგო, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე მედალი მოიპოვა, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოში ცხოვრობს. 19 წლის ანა ხუნჯუა სწორედ ამ სოფლის პატარა დარბაზში ვარჯიშობს 12 წლის ასაკიდან. ვარჯიში ბიჭებთან ერთად უწევს, რადგან ერთადერთი ქალია სოფელში, რომელიც კრივის დარბაზში სპორტის ამ სახეობას ეუფლება.

რამდენიმე დღის წინ ანამ 22 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და, როგორც თავად ამბობს, ყველას, ვინც კრივს „არაქალურ სპორტად“ მიიჩნევდა, საპირისპირო დაუმტკიცა. წარმატებას წინ რთული და დატვირთული ეტაპი უძღოდა:

2

ვულოცავთ!



ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე ირაკლი შონია, მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის (FLEX) გამარჯვებულია.

მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა გამარჯვებულ მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნონ ამერიკის კულტურას და ხალხს, ისწავლონ ამერიკულ სკოლაში და იცხოვრონ ამერიკელ, მასპინძელ ოჯახთან ერთად, ერთი აკადემიური წლის მანძილზე.

პროგრამას სრულად აფინანსებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საკითხთა ბიურო.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ულოცავს ხობელ მოსწავლეს კონკურსში გამარჯვებას.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრი დაჩი ბერაია, საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

სხდომაზე განხილულიქნა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია განახორციელოს ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყეპარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობანაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის სახელდება.

სხდომაზე ასევე განიხილეს დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“. პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება სხვადასხვა სახის ცვლილება: იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები 784,0 ათასი ლარით მუხლიდან „გრანტები, რის საფუძველზეც გაიზარდა ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა და შეადგინა 13238,0 ათასი ლარი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ტ. ალექსანდრიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული ხობის მუნიციპალიტეტის 2016–2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში.

საკითხზე დებატების დასრულების შემდეგ ხობის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების უმოკლეს ვადაში შესრულება, რაზედაც კონტროლს უზრუნველყოფს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, იურიდიულ საკითხთა და ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეები. მიღებულ გადაწყვეტილებაზე ეცნობება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ამ და სხვა საკითხების განხილვის შემდეგ, საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ხობში დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე აღნიშნეს

21 მარტს, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში, ფოთის თოჯინების თეატრის მსახიობთა მონაწილეობით სპექტაკლი „სისა ტურა“; ხოლო, კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით ასფალტზე ხატვა გაიმართა.

ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრის“ ორგანიზებით განხორციელდა.

2011 წლის 21 მარტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღედ დაწესდა. ამ დღეს, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაუნის სინდრომის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებები იმართება.

პირველი ქართველი მოკრივე ქალი ევროპის ჩემპიონატის მედლით

1

„საკმაოდ ოპტიმალურ ფორმაში ვიყავი. ძალიან დიდ შრომასთან იყო ყველაფერი დაკავშირებული, რომ ჯერ გახვიდე ევროპაზე და შემდეგ მედალი აიღო. რთული იყო, მაგრამ როცა შენი თავი გადადებული გაქვს და ცდილობ მთლიანად კრივს დაუთმო შენი თავი, ვფიქრობ, ყველაფერი გამოვა“.

სპორტი მამამ შეაყვარა, რომელიც მოჭიდავეებს წვრთნის იმავე დარბაზში, სადაც ახლა ანა ვარჯიშობს. სწორედ მას გაანდო 12 წლის ასაკში, რომ კრივით დაინტერესდა. მამა, ალმასხან ხუნჯუა, წინააღმდეგი არ ყოფილა, განსხვავებით დედისგან, რომელსაც გოგოსთვის სპორტის ეს სახეობა არ მოსწონდა. დამოკიდებულება მაშინ შეეცვალა, როცა ანას პირველი შეჯიბრი ნახა:

„ანა ჩემთან მოვიდა და რა იქნება, კრივი რომ ვცადოო. თუ შენ ასე გინდა, მოდი და ივარჯიშე-მეთქი, ვუთხარი. შენთვის გეცოდინება. მაგრამ ამ ყველაფერმა მერე სერიოზული სახე მიიღო. ოჯახში იყო პრობლემა ჩემს მეუღლესთან, მაგრამ ზუგდიდში რომ ტარდებოდა შეჯიბრი, წამომყვა, ოღონდ თავის საქმეზე. ვუთხარი ცოტა ხანს დარჩენილიყო. როლებში ისე შევიდა ჩემი მეუღლე... იქიდან ყველა შეეგუა“,–იხსენებს ალმასხან ხუნჯუა.

19 წლის მოკრივეს, უკვე მეშვიდე წელია, ედიკა თოდუა წვრთნის. ამბობს, რომ ანას ვარჯიში რთულ პირობებში უწევს. მიუხედავად ამისა, სპორტისთვის თავის დანებება არც უფიქრია.

ანა ხუნჯუა უკვე ახალი შეჯიბრებისთვის ემზადება. უმთავრესი მიზანი ამ ეტაპზე ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებაა. 19 წლის მოკრივე ქალს სოფელში და უკვე მთელს ქვეყანაში ბევრი გულშემატკივარი ჰყავს.

კომისია ახალსოფელში მცხოვრები ოჯახების მდგომარეობას გაეცნო

ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა და სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე შოლინა კანკია ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქეების მომართვის საფუძველზე, ადგილზე გაეცნენ მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და საცხოვრებელ პირობებს. მერია ახალსოფელში მცხოვრებ ორ ოჯახს სამშენებლო მასალებით დაეხმარება.

ხობის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამა მოქმედებს. აღნიშნული პროგრამის შესაბამისად, სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სახლები საჭიროებს გადახურვას ან სახურავის შეკეთებას, მერია სამშენებლო მასალებით დაეხმარება.

2018 წელს, აღნიშნული პროგრამით 28 ბენეფიციარს, 40 000 ლარის დახმარება გაეწია.

შეხვედრა წითელას იმუნიზაციასთან დაკავშირებით

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საქტო დარბაზში, წითელას საწინააღმდეგო ღონისძიებებთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსმა შოლინა კანკიამ მერიის, საკრებულოს, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წარმომადგენლებთან წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე ისაუბრა.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N16 განკარგულებით, წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით, გასატარებელი ღონისძიებები, მოქალაქეთა, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულებები განისაზღვრა.

სამუშაო შეხვედრაზე დაისახა სამოქმედო გეგმა და ღონისძიებები ხობის მუნიციპალიტეტში იმუნიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებით.

ზვიად გამსახურდია-80

დონ კიხოტზე და ზვიად გამსახურდია...

დონ კიხოტ(ე) იმიტომაცაა გენიალური პერსონაჟი, რომ ის გაშარჟებული მაცხოვარია! ყველასგან განსხვავებული, სიკეთითა და სიყვარულით აღვსილი ძე-ხორციელი, რომელიც ადამიანებისგან განსხვავებულად და აბსოლუტურად სხვანაირად ხედავს და აღიქვამს სამყაროს, იმ ირგვლივეთს, რომელშიც უხდება არსებობა და იბრძვის სიკეთის დასამკვიდრებლად. ის ყველას თვალში არანორმალური და დასაცინი ადამიანია, რომელიც გიჟური გამოხტომებით იბრძვის რეალური, არსებული ცხოვრების წინააღმდეგ. რის გამოც ისჯება და ჯვარს ეცვება ქრისტესდარად...

მძიმეა მისი ჯვარი, რეალურ და ირეალურ სამყაროში თვითმყოფადი ფიქრებითა და ზრახვებით გამოჭედილი. დონ კიხოტე თავად ქმნის თავისივე ჯვარს და ამის გამოა ის მრავალთათვის გიჟი და მიუღებელიც... რომ იკითხო, აბსოლუტური უმრავლესობა ასე იტყვის, მაგრამ იმაზე კრინტს ვერავინ დასძრავს თუ, რატომაა ის უპირველესი რომანის უსაოცრესი გმირი...

დონ კიხოტე ლამანჩელი–ფუნდუქის სასახლედ, ქარის წისქვილების დევგმირებად წარმომდგენი რაინდი. ვისაც მუზარადიც კი მრთელი არ ახურავს, რადგან ქვედა ნაწილი, ანუ–ზარადი მუყაოსგან აქვს დამზადებული. ბევრი რამეა საყურადღებო და ხაზგასასმელი ამ გმირისა და რომანის გარშემო.

დონ კიხოტეს ჰგავს ჩემი წარმოსახვით ზვიად გამსახურდია. აბა რამდენ ადამიანს სჯეროდა მისი იდეების რეალურად განხორციელებისა, საქართველოს საბჭოთა სივრციდან გამოხსნისა, თავისუფლების მოპოვებისა?!

მას გიჟად, ავადმყოფად, შეურაცხადად, სამარცხვინოდ და ვინ იცის კიდევ რად არ მოიხსენიებდნენ. ებრძოდნენ, ლანძღავდნენ, აგინებდნენ... ის მაინც წინ მიიწევდა შუბლაღმართული და ბიბლიამომარჯვებული, სჯეროდა იდეის გამარჯვებისა და გაიმარჯვა კიდეც. მასაც მესიად მოიხსენიებდნენ და ასეც იყო, ისიც უფლის პერსონაჟი გახლდათ რეალურ ცხოვრებაში.

პირველ წიგნში ლამანჩელი რაინდი გმირობების ჩადენასთან ერთად მუდმივ ტაჯვაწამებასა და განსაცდელშია. მას აბუჩად იგდებენ, ამცირებენ, „საღადაო“ პერსონაჟად აღიქვამენ და სიცოცხლეს უმწარებენ... აი, მეორე წიგნში სიტუაცია იცვლება, უკვე თავად სერვანტესი ხედავს, რომ სხვათა საქილიკოდ და გასაშარჟებლად გამოძერწილ გმირში უფლის სახე გამოიკვეთა, რადგან ის ყველაზე კეთილი და უშურველი ადამიანია დედამიწაზე. ასეთი კი მაცხოვარია მხოლოდ.

პირველი წიგნი „დონ კიხოტ ლამანჩელის თავგადასავალი“ იმდენად დიდი და საინტერესო გამოვიდა, რომ მეორე წიგნის, ანუ გაგრძელების დაწერა ვიღაც სხვამ მოინდომა და შეთხზა კიდეც რაღაცეები, რაც საფუძველი გახდა ნამდვილი „დონ კიხოტეს“ მე-2 ნაწილის შექმნისა, სადაც აბსოლუტურად სხვანაირ რაინდთან გვაქვს საქმე. ესეც უდაოდ უფლის ხელწერაა...

ზვიად გამსახურდიას „პირველი წიგნი“ მთელი მისი ცხოვრებაა, ტანჯვითა და წამებით აღსავსე ღვაწება ქვეყნის დასახსნელად. სამშობლოს გადასარჩენად... დაბადებიდან სიკვდილამდე, ანუ ჯვარცმამდე... აი, „მეორე წიგნის“ დაწერაც მოისურვეს ვიღაცეებმა, აყალბებენ ისტორიას, სახელმწიფოებრივად უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, მაგრამ პირუთვნელია ისტორიული კალამი ღმერთისა, რომელიც ჭეშმარიტების დაყრდნობით მოგვინაგრებს მართალ მატიანეს!..

ვიცით მეორე წიგნი ლამანჩელი რაინდისა... ნეტავ როგორი იქნება „მეორე ტომი“ ქართველთა გმირისა და რაინდისა... „სანჩო პანსებზე“ არაფერი გვითქვამს, იმედია, მომავალში გვექნება საშუალება ამისა, როდესაც ფართოდ ვისაუბრებთ ფერ-ხორციან, გუბერნატორობას დანატრებულ საჭურველმტვირთველებზე, რომლებსაც ბოლომდე არც სჯეროდათ თავიანთი რაინდებისა, მაგრამ მაინც მიდიოდნენ, ბრმად თუ ნახევრად თვალებგახელილები, „რწმენით“ იმისა, რომ „რაღაცა მაინც იქნებოდა...“ იმ „რაღაცაზე“ კი, უმრავლესობამ არა უწყოდა რა!..

ლამანჩელმა შექმნა, გამოიგონა ძვალი და ტყავი, მხოლოდ სული-თავისი უმთავრესი, უპირველესი სიყვარული დულსინეა ტობოსელი და ზვიად გამსახურდიამაც-თავისი უსაყვარლესი–ივერია!.. ორივეს აქცენტი სულზე ჰქონდა გაკეთებული...

ერთ რამეში კი ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს–რაინდები იყვნენ სისხლით ხორცამდე. ერთიც უბრალო მეფუნდუკემ „აკურთხა“ და მეორეც უბრალო ხალხმა ამოიკვეთა გულის ფიცარზე!.. თანაც რაინდის მოვალეობა ხომ მხოლოდ ხალხზე ზრუნვა და საგმირო საქმეების ჩადენაა... პირადულზე და მატერიალურზე ფიქრი გამორიცხულია...

დონ კიხოტე ლამანჩელი როსინანტზე ამხედრებული, საგმირო საქმეების ჩასადენად ველად გაჭრილი, საცვლებისა და ყოველგვარი გროშების გარეშე რჩება რეალობის წინაშე, ანუ ფუნდუკში ლუკმის გასატეხად შესულს ერთი გროშიც არ აღმოაჩნდება...

ზვიად გამსახურდია პუტჩისტებსა და ხუნტისტებს ძლივს-ძლივობით თავდაღწეული, სომხეთში თავის ამალასთან ერთად, ჯიბეცარიელი და მშიერი ეჩეხება რეალობას... თურმე არსებობისთვის ესეც საჭირო და აუცილებელია!..

სიკვდილშიც ერთმანეთს გვანან რაინდები და გმირკაცები... ისინი კვდებიან, მაგრამ მაინც ცოცხლობენ, მაინც გრძელდებიან, უკვდავდებიან, როგორც დონ კიხოტე და ზვიად გამსახურდია...

როგორც პრომეთე და ამირანი...

როგორც უფალი და სიყვარული...

ეს უცილოდ გარდაუვალი ჭეშმარიტებაა!..

ლაშა გვასალია.

პირნათელი ერისა და ქვეყნის წინაშე

საქართველოს უძლიერესი ისტორიის შექმნაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ბატონ ზვიად გამსახურდიას, რომელმაც თავისი ცხოვრება მთლიანად მიუძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას. ის გახლდათ უაღრესად ეროვნული და მრავალმხრივ განათლებული პიროვნება: ფილოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, დისიდენტი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული გმირი.

იმ დროს, როდესაც ვერავინ ვერ ბედავდა ხმის ამოღებას, ზვიადმა და მერაბ კოსტავამ თავიანთ თანამოაზრეებთან ერთად გამოამჟღავნეს გმირული თვისებები და აქედან დაიწყო მათი თავგანწირული ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. მერაბ კოსტავას დედა ქალბატონი ოლღა დემურიაკოსტავა იხსენებდა: „მე ყოველთვის მიკვირდა, ბავშვობაში ზვიადს არასოდეს უთამაშია, სულ პატარაც კი, როდესაც ჩვენთან მოვიდოდა, სულ პოლიტიკაზე საუბრობდა, „მერაბ, საქართველო დაპყრობილია, ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ!“–ეუბნებოდა იგი ხშირად მერაბს“.

ზვიად გამსახურდიას ყველა პირობა ჰქონდა იმისთვის, რომ უზრუნველად ეცხოვრა, გაეკეთებინა დიდი კარიერა და დაეკავებინა იმ პერიოდში ყველაზე მაღალი თანამდებობები, მაგრამ მას არასოდეს არ უზრუნია საკუთარი კეთილდღეობისთვის, მისი ერთადერთი საზრუნავი და საფიქრალი იყო მხოლოდ სამშობლო, ყველაზე წმინდა, რაც კი ადამიანს გააჩნია. ის იყო ქართველი, რომლის სისხლის ყოველი წვეთი, ყოველი მისი სასიცოცხლო უჯრედი საქართველოს სიყვარულზე ღაღადებდა. მან თავისი ქვეყნის თავისუფლება წარუშლელად ამოიტვირფა გულის ფიცარზე. მისთვის თავისუფალი საქართველოს ჰიმნი, გერბი და დროშა უდიდეს სიწმინდეს წარმოდგენდა და ცხოვრების კრედოც „მამული, ენა და სარწმუნოება“ იყო.

დისიდენტურ მოძრაობაში შეტანილი წვლილისთვის 1978 წელს ზვიად გამსახურდია იყო ნობელის მშვიდობის პრემიის ოფიციალური ნომინანტი, რომელიც წარდგენილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ. ზვიადი და მერაბი იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციის „საერთაშორისო ამნისტიის“ წევრები. ზვიადი კი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციის „საერთაშორისო საზოგადოების“ წევრი.

აქტიური დისიდენტური საქმიანობისთვის ზვიად გამსახურდია საბჭოთა უშიშროების კომიტეტმა დააპატიმრა 1956 და 1977-1979 წლებში და ასევე იმყოფებოდა გადასახლებაშიც. ანტისაბჭოთა პროპაგანდისთვის გარიცხეს საქართველოს მწერალთა კავშირის რიგებიდან.

ზვიად გამსახურდია იყო მთავარი ორგანიზატორი 1987-1990 წლებში გამართული ყველა ძირითადი მშვიდობიანი მასობრივი აქციისა და მათ შორის 1989 წლის 9 აპრილის საპროტესტო აქციისა, რომელიც დიდი ტრაგედიით დასრულდა.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს ისტორიაში პირველი მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა, სადაც გაიმარჯვა პოლიტიკურმა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველო“, მისი ლიდერი იყო ბატონი ზვიად გამსახურდია. ახალმა მთავრობამ მნიშვნელოვანი, პრინციპული ნაბიჯები გადადგა ახალგაზრდა, „საქართველოს რესპუბლიკის“ პოზიციის განმტკიცებისთვის.

უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1991 წლის 31 მარტს საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარება და რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება. ასევე 1991 წლის 26 მაისს საყოველთაო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება.

სახელმწიფოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე ზვიად გამსახურდიას მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მემკვიდრეობა ერგო. იმ პერიოდში მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური ვითარების შესაბამისად გავლენის სფეროების გადანაწილების პროცესი მიმდინარეობდა და ზვიად გამსახურდიას სახელმწიფოებრივი სტრატეგია და იდეოლოგია მოცემულ ვითარებაში ბევრისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა „დინების საწინააღმდეგო მოცურავე“ უწოდა, რაზეც ზვიადმა უპასუხა: „დინებას ლეშები და მკვდარი თევზები მიჰყვებიან,“ „ბუშები და ბეიკერები მიდიან, საქართველო კი რჩება“. ამას მოჰყვა არნახული დეზინფორმაციული კომპანია საქართველოს ხელისუფლების მიმართ, რომელსაც მოსკოვი ახორციელებდა მთელს მსოფლიოში. შიდა ე.წ. ოპოზიციის აქტიურობით და გარე ძალების დახმარებით, კერძოდ, რუსეთის შეიარაღებული ძალების დახმარებით. 1991 წლის დეკემბერს და 1992 წლის იანვარში, მოხდა კანონიერი, ეროვნული და ქართველი ხალხის ნების გამომხატველი ხელისუფლების დამხობა და ზ. გამსახურდიას ქვეყნიდან განდევნა, რომელმაც უმძიმესი შედეგი მოუტანა ჩვენს ქვეყანას და შედეგებს ჩვენ დღესაც ვიმკით. თუ რა მოჰყვებოდა ზვიადის გადადგომას და როგორ განვითარდებოდა მოვლენები, თუ როგორ დაიშლებოდა ქვეყანა და თუ როგორ ითარეშებდა სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფებები, მან იწინასწარმეტყველა და ყველაფერი ისე ახდა, როგორც ამბობდა, ზვიადი დევნილობაშიც განაგრძობდა ბრძოლას საქართველოს ინტერესების დასაცავად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შექმნილი იყო ურთულესი პოლიტიკური სიტუაცია და გათვითცნობიერებული ჰქონდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ის მაინც დაბრუნდა დევნილობიდან და გააგრძელა ბრძოლა ქვეყნისთვის და ზვარაკად შესწირა თავისი სიცოცხლე უთანასწორო და უკომპრომისო ბრძოლას. ამით ზვიადმა ერთხელ და სამარადჟამოდ დაუსვა წერტილი მისი სახელით სპეკულაციას, ვინაიდან ავრცელებდნენ, თითქოს დევნილობაში მყოფი ზვიადი აფერხებდა საქართველოს განვითარებას.

ზვიად გამსახურდიამ თავისი ბიოგრაფიით, მოწამეობრივად განვლილი გზით გვიჩვენა ჭეშმარიტი მაგალითი სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში და ამით მან აიღო ის სიმაღლე, რომლის აღება კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. ის მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დისიდენტურ მოძრაობაში იყო ჩართული და შემდგომაც, როცა იყო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და მერე, როგორც პრეზიდენტი, მაინც როგორც დისიდენტს ისე უწევდა მოღვაწეობა.

წავიდა პირნათელი ერისა და ქვეყნის წინაშე და სამარადჟამოდ დაიმკვიდრა ადგილი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ბატონი ზვიადი იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი და ასე იქნება მარადჟამს, სანამ საქართველო იარსებებს.

რომან რეკვავა.

ზვიად გამსახურდია-80

შიშში ნაბრძანობი სიდიადე

დავიწყებ პირდაპირ, ზვიად გამსახურდია და მთლიანად ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა, შიშით შემოვიდა ჩემს ბავშვურ წარმოსახვაში. აბა პატარას რა სიღრმეებში უნდა ჩამეხედა?– ვხედავდი ერთ რამეს–ჩემი ძმა და მასთან მთელი ოჯახი მუდმივად საფრთხეში ვიყავით. ლაშა, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი, მუდმივად იდევნებოდა, ხშირად აპატიმრებდნენ და იზოლაციაში ამყოფებდნენ. მისი პრინციპულობიდან გამომდინარე, ჯიუტად მიუყვებოდა არჩეულ გზას და პროტესტის სხვადასხვა ფორმით,–აქციებით, მიტინგებით, ბოიკოტით, შიმშილობით და ა. შ. უკანმოუხედავად ებრძოდა სამხედრო გადატრიალების გზით მოსულ ძალადობრივ ხელისუფლებას. ყველაფერს აკეთებდა კანონიერების აღსადგენად. ეს გახლდათ ბრძოლა ღირსებისა და ჭეშმარიტების აღსადგენად, რომელსაც არაერთი თავდადებული მამულიშვილი და პატრიოტი შეეწირა (დიდება მათ სახელებს). წუხდნენ ჩემი მშობლები, ერთადერთი ვაჟის ლანდადქცეული - ჩემი სულმნათი მამა და ლაშაზე ფიქრითა და დარდით ნაადრევად დაბერებული დედა. არანაკლებად დარდობდნენ უფროსი დებიც. ამ წუხილმა და სადარდისმა, უხილავმა და თვალმიუწვდომმა მოლოდინმა, მთელი ჩვენი ოჯახი ჩააბა იმ დიდ ბრძოლაში. ალბათ გახსოვთ სტეფან ცვაიგის ნონა კალანდარიშვილისეული თარგმანი დიდებული ნოველისა-„ ლეგენდა ტყუპ დებზე“, ელენი მთელი შინაგანი აღზნებით რომ უყვება საყვარელ დას „აღსარებით თავგადასავალს, ანუ მოგონებებს ბავშვურ ტკივილზე“, ასე არასდროს მოგვიყოლია დებს ერთმანეთისთვის იმ ავ-კარგიან წლებზე, სევდიან, შიშნარევ მოლოდინებზე, რომელიც ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერამ შემოიტანა ჩვენს ოჯახში და მშურდა ელენის, მშურდა მოგონებებში ხმამაღლა ჩაძირული ტყუპებისა...(ჩვენ ეს ვერ გავბედეთ, ჩვენ ამ მოგონებებს გავურბივართ- უდიდესი სიმძაფრის გამო).

შიშნარევი სიხარულით ვკითხულობდი ლაშას პატრიოტულ ლირიკას, რომლისა მაშინ, ბოლომდე არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, ის ლექსები, მოთხრობები, წერილები და ესეები მაყალიბებდნენ მტკიცე ხასიათის, მიზნისთვის უკანდაუხევ ადამიანად. არც ლევან გოთუას „ქვის დედაენას“ თუ სხვა პატრიოტულ ნიმუშებს, მით უფრო საყმაწვილო ჟურნალ „დილასა“ თუ „საქართველოს ქალს“ არ შემოუტანიათ ჩემში თვალუწვდომი სიყვარული ჩემი ქვეყნისა ისე, როგორც ეს გააკეთეს გაზეთებმა: „აღდგომამ“, „ზანმა“, „საქართველოს სამრეკლომ“, „გზა ხსნისამ“, ჟურნალებმა „კარდუმ“ და „მიჯნამ“... მათ ჩემში დაბადეს ზვიად გამსახურდია და მე „ქალმა ტარიელმა“ მოვისხი ტყავი მარადიული თავისუფლებისა და გავხდი- თავისუფლებისტყავიანი. შევიცანი და შემიყვარდა ზვიად გამსახურდია... მე გავიზარდე... გმირებიც გაიზარდნენ ჩემში... საქართველო გაიზარდა მასთან ერთად, ილიასა და ზვიადის საქართველო, „შავლეგოს“ საქართველო... ბრძოლებით აღვსილ სულსა და არსში იმოდენა ადგილი დაიკავა საფიცარმა სამშობლომ, ვერსად წავიყვანე ჩემი ბავშვური ოცნებები და სადღაც სულის სიღრმეში მივუჩინე მოკრძალებული ალაგი და ისეთი უკმარი, ცრემლიანი თვალებით შემომყურებს დღესაც, მებრალება, უსაზღვროდ მებრალება.

ახლა, როცა ამ უდიდეს ადამიანზე ფიქრს ვიწყებ, ის ახლებურად, მისეული გენიით შემოდის და აღმოცენდება სიბრძნის მუხად, ფესვები ღრმად რომ აქვს გადგმული მიწაში და ქედუხრელი რწმენით მიიწევს ზევით და ზევით, იქ, სადაც თავისუფლება ჩვეულებაა და არა „განსაზღვრულება“.

ზვიად გამსახურდია თვალუწვდენელი ოკეანეა, მისი მწერლობა, მეცნიერება, ესეისტიკა სამშვინველად უდევს მის პოლიტიკურ საქმიანობას. მან ეს უდიდესი ნიჭიერება ცალსახად მიმართა პოლიტიკისკენ და წარმოუდგენლად დიდ შედეგებს მიაღწია. აქტიური ცხრა თვის განმავლობაში შექმნა საფუძველი ახალი ევროპული სახელმწიფოსი. ჩაატარა 31 მარტის რეფერენდუმი, 9 აპრილს გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

სულ მაინტერესებდა, შესაძლებელია თუ არა, ადამიანურ ძალისხმევას აღემატებოდეს იმის მიღწევა, რისკენაც სახარება მოგვიწოდებს, რამეთუ ხშირად იდეალისტი თავის თავში მისი აღსრულრბის ძალას ვერ პოულობს.

რჩეულები ახერხებენ ყველაფერზე მაღლა დადგომას, ცხოვრებისეული წვრილმანების უარყოფას და ყოფისმიერი უდაბნოდან გამოსვლას. ეს მოახერხეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. ისინი ჩადგნენ „უფლისეულ წესრიგში“.

იესო ნაზარეველი ამბობს:

„რადგან ორი თუ სამი შეიყრება ჩემი სახელით, მეც იქვე ვარ, მათ შორის“. თამამად ვიტყვი: ზვიადთან და მერაბთან უფალი იდგა, რადგანაც ისინი ყოველივეს ქრისტეს სახელით იქმოდნენ! რაბინებს ჰქონდათ გამონათქვამი: „უფლის მოშიში ადამიანის სიტყვები შესმენილ იქნება“, ზვიად გამსახურდია ალაპარაკებს თავისი ზღაპრის გმირს, რომელიც შეიძლება მის ალტერ-ეგოდ ჩავთვალოთ. „ჭაბუკო, იფიქრე უფალზე, გჯეროდეს მისი, და მოშიშება წმინდა სამებისა მოგცემს ძალას მთები გადაატრიალო, წითელ ვეშაპს წაგვარო მზე!“–დიდმა ზვიადმა ეს მოახერხა, მან გადაატრიალა მთა და წითელ იმპერიას წაგვარა გადასაყლაპად გამზადებული მზე–საქართველო! ამიტომაც უწოდა მადლიერმა ერმა–მიწიერი მესია!

ჟან- ჟაკ რუსო, რომელიც ორთოდოქსი ქრიასტიანი არ იყო, წერდა: „თუკი სოკრატეს ცხოვრება და სიკვდილი ბრძენკაცის შესაფერისია, მაშინ იესოს ცხოვრება და სიცოცხლე ღმერთკაცს შეეფერება და უფრო მეტიც, ის თვალუწვდენელი სიკეთის სტიქიონია“–მე მოკრძალებით დავძენდი: თუ ვინმეს ატყვია ღვთაებრივ-სახელმწიფოებრივი დამღა უეჭველობისა და ნამდვილობისა, უპირველესად ზვიად გამსახურდიას.

მკრეხელობად არავინ ჩამითვალოს უზენაესსა და მოკვდავს შორის გავლებული პარალელები, მაგრამ თუ ჩემისთანა უუბრალოესი ადამიანი რაიმე ნატვრას ზეციერთან მოისურვებდა, ალბათ სამშობლოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება იქნებოდა, ამის ამღსრულებელი კი ზვიად გამსახურდიაა, დიონისე არეოპაგელივით ზეციერად შემართული!

ვულოცავ მართალ ქართველთ –საყვარელი პრეზიდენტის იუბილეს, უფალმა ღირსი გვყოს მისი მოწამეობრივი თავდადებისა და ცხოვრებისა!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ და გამთლიანებულ საქართველოს!

ნანა გვასალია

უდიდესი ჰუმანისტი!

1991 წლის 31 მარტს ზვიად გამსახურდიას თაოსნობით სრულიად საქართველომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით მიიღო ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი. მოსახლეობის 98,9 პროცენტმა მხარი დაუჭირა ქვეყნის დამოუკიდებლობას.

რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობა.

რეფერენდუმის ჩატარებას ჰქონდა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ უდიდესი სამართლებრივი მნიშვნელობა.

რეფერენდუმის შედეგებმა სამართლებრივი საფუძველი გამოაცალათ აფხაზ და ოს სეპარატისტებს. ისინი ამ აქტით აღმოჩნდნენ უკიდურეს უმცირესობაში. სეპარატისტები უკვე ვეღარ გამოხატავდნენ აფხაზი და ოსი ხალხის ნებას. თითქოს მიყუჩნდნენ კიდეც გარკვეული ხნით. მხოლოდ მოგვიანებით, სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ გააქტიურდნენ. ქვეყანაში შეიქმნა სამართლებრივი კონსტიტუციური ვაკუუმი, სეპარატისტებს გზა გაეხსნათ... „თბილისის დაცემას მოჰყვა სოხუმის დაცემა“... რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია.

ზვიად გამსახურდიას თაოსნობით ჩატარებულ რეფერენდუმს დღესაც არ დაუკარგავს პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობა. რეფერენდუმის შედეგები იმხანად ცნო „საერთაშორისო სამართალმა“. ამდენად, ეს აქტი დღესაც წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის მიერ მიღებულ ერთიანობის, ეთნიკური ურღვევობისა და დამოუკიდებლობის იურიდიულ და სამართლებრივ ფუნდამენტურ დოკუმენტს. ამიტომაც, რაც არ უნდა „არჩევნები“ (ან არჩევანი) ჩაატარონ სეპარატისტებმა, ისინი ვერასოდეს მოიპოვებენ აღიარებას საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

ძნელია ერთ საგაზეთო წერილში მოაქციო ზვიად გამსახურდიას ღვაწლი, აღწერო მისი განვლილი მოწამებრივი ცხოვრება. ის იყო საუკუნის ჭეშმარიტი მამულიშვილი. მან შექმნა უდიდესი ეპოქა. ათეისტური ქვეყანა დაუბრუნა ქრისტიანულ სარწმუნოებას.

მხოლოდ მან, მარტომ ბოლომდე ზიდა ქრისტეს ჯვარი, ქართველებში აღაზევა ეროვნული სულისკვეთება.

ზვიად გამსახურდიას მმართველობის ჟამს გამოვლინდნენ ერის წიაღიდან ყველაზე მეტი ბერ-მონაზონნი. მაშინ დაფიქსირდა საუკუნის ყველაზე მეტი შობადობა, სხვადასხვა ქვეყნებიდან ქართველობა დაუბრუნდა საქართველოს.

იწყებოდა აღმასვლა, მაგრამ იმპერიული ძალების ინსპირაციით მოწყობილმა სახელმწიფო გადატრიალებამ ბოლო მოუღო ქვეყნის აღმასვლას.

დიდია ზვიად გამსახურდიას როლი საქართველოსა და ზოგადად კავკასიისთვის. ამის დასტურია მისი არაერთი ოფიციალური მიმართვა კავკასიელი ხალხისადმი, სადაც ზედმიწევნით მჟღავნდება საუკუნოვანი ბრძოლის მატიანე მათი თვითგადარჩენისა.

ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდება არაერთი მეცნიერული ნაშრომი იბერიულ-კავკასიურ ხალხთა ეთნო-გენეტიკური ნათესაობის შესახებ. ის იყო არნოლდ ჩიქობავასა და ერნესტ ჰონინგმანის (გერმანელი მეცნიერი) შემდეგ დიდი კავკასიოლოგი. მკვლევარი იბერიულ-კავკასიური რასისა, ქომაგი-მებაირაღე კავკასიელ აბორიგენთა: ქართველთა, აფხაზთა, ჩეჩენთა, ინგუშთა, დაღესტანელთა, ადიღეელთა, ჩერქეზთა და ყაბარდოელთა ეთნო-გენეტიკური ნათესაობისა. ის იყო ავტორი (ჯოხარ დუდაევთან და სხვა კავკასიელ პარტნიორებთან ერთად) საერთო კავკასიური სახლის შექმნისა. მის სახელს ეკუთვნის გენიალური ფილოსოფიური ქმნილება: „დილემა კაცობრიობის წინაშე“ და „საქართველოს სულიერი მისია.“ ასევე ლიტერატურული ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, პოეტური კრებული „მთვარის ნიშნობა“ და მრავალი ფილოსოფიური, ისტორიული, პუბლიცისტური და ლიტერატურული ნაშრომები.

იშვიათად ახსოვს მსოფლიო ისტორიას პრეზიდენტი ესოდენ თავდადებული, პრეზიდენტი ზეგანათლებით, მეცნიერი, მკვლევარი, პუბლიცისტი, მწერალი, პოეტი, მთარგმნელი...

დრო უდაოდ შეაფასებს მას, როგორც უდიდეს ჰუმანისტს მსოფლიო ისტორიისა.

ტრისტან ვალაქარია.

18 მარტს პირველი პრეფექტი თენგიზ ქაჯაია დაბადებულა...

პირველი პრეფექტი

1991 წლის ნოემბრის ბოლოს, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ერთი თვით მომიწია ქვეყნის დატოვება. დავბრუნდი 31 დეკემბრის ღამეს. ხობში ახალი წლის დადგომის ნიშანწყალი არ ჩანდა. რაიონი პირველი პირის დაღუპვას გლოვობდა. თენგიზ ქაჯაია, საქართველოს პირველი პრეფექტი ცოცხალი აღარ იყო...

ერთხელ თენგომ თავის კაბინეტში მიმიწვია. მან იცოდა ჩემი საქმიანობის შესახებ და მთხოვა დაწვრილებით მომეთხრო მედია-ცენტრის შესახებ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. მას მოსწონდა ჩვენი ჯგუფის საქმიანობა, აქტიურად თანამშრომლობდა და ყველანაირად ხელს გვიწყობდა. ჩემი მონათხრობის შემდეგ საკუთარ საქმიანობაზე და გეგმებზე მესაუბრა. ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული,–მითხრა თენგომ. უზენაესი საბჭო ჩვენგან ელოდება წინადადებებს, რომელთა საფუძველზეც მიიღებენ ჩვენს მენტალიტეტსმორგებულ კანონებს. თუმცა, იმისთვის, რომ მმართველობის კომუნისტური სისტემა შეიცვალოს, მხოლოდ კანონების მიღება არ იქნება საკმარისი, საჭიროა ახალი კადრები, რომლებიც ეროვნულად აზროვნებენო.

თენგომ მშვენივრად იცოდა, რომ სიტუაციის შესაცვლელად აქტიურობის გარდა, დროც იყო საჭირო. მას ჰქონდა ანალიტიკური აზროვნების საოცარი უნარი. მთელი მისი ცხოვრება დაკავშირებული იყო მოვლენათა ანალიზთან. ეს მისი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარე იყო.

წარმატებით დაამთავრა ჯაპიშაქრის საშუალო სკოლა, შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით ფინანსისტ-ეკონომისტი.

სკოლაშიც, უნივერსიტეტშიც, ბიზნეს საქმიანობის და პრეფექტად მუშაობის დროს ის ხედავდა საბჭოთა სისტემის მახინჯ და სუსტ მხარეებს და ცდილობდა ეპოვა გამოსავალი, როგორც თვითონ ამბობდა, იმ ჯადოსნური წრიდან, რომელშიც ჩვენი საზოგადოება იმყოფებოდა.

ამავე დროს თენგო იყო კარგი მენეჯერი. მას როგორც პროფესიონალ ანალიტიკოსს, კარგად ესმოდა, რომ ანალიზის და გეგმის დასახვის შემდგომ მთავარი იყო საქმის ბოლომდე მიყვანა. ამისთვის კი საჭირო იყო მენეჯმენტის საფუძვლების ზედმიწევნით ცოდნა. მე იშვიათად შემხვედრია ასეთი დონის უნივერსალური ადამიანი. მისთვის ყველაზე მტკივნეული თემა იყო საკადრო საკითხი, მაგრამ მან შეუძლებელი შეძლო. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ხობის მაშინდელი პრეფექტურა, თავისი შემადგენლობით, ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ეს იყო პრეფექტის დამსახურება.

1990 წლის 28 ოქტომბრის და 11 ნოემბრის არჩევნებში თენგო ხელმძღვანელობდა მრგვალი მაგიდის რაიონულ შტაბს და მიღწეულ წარმატებაში მისი წვლილი გადამწყვეტი იყო.

თენგო ცდილობდა ეთანამშრომლა რაიონის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებთაც შეეძლოთ სარგებლობის მოტანა. ის მზად იყო ესაუბრა ნებისმიერი პოლიტიკური მოსაზრების ადამიანთან. როდესაც პრეფექტურის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წევრებმა კარავი გაშალეს, თენგომ მათ რამდენჯერმე მიაკითხა და მეგობრულად ესაუბრა.

მრავალმხრივი განვითარება მას საშუალებას აძლევდა ჩვენი საზოგადოების საქმიანი წრეებისთვის და განსაკუთრებით ახალგაზრდა მეწარმეებისთვის შეეთავაზებინა სხვადასხვა პროფილის იდეები შემდგომი ბიზნეს საქმიანობისთვის. ამავე დროს ითხოვდა საქმიან იდეებს, წინადადებებს ჩვენი საზოგადოების წევრებისგან. თენგო გაჩენილი იყო დიდი საქმეებისთვის.

ჩვენ, ხობელებს, წილად გვხვდა ბედნიერება, რაიონის პირველი პირი ყოფილიყო უნივერსალური განათლებისა და უნარების მქონე ადამიანი, რომელიც მაღალ პროფესიონალიზმს უხამებდა ეროვნულ ინტერესებს. ის ვერ იტანდა პირმოთნეობას, მლიქვნელობას, როგორც თვითონ იტყოდა „ტაშისკვრას“. მზად იყო მოესმინა ყველაზე კრიტიკული შენიშვნები, თვითონ კი, როგორც ანალიტიკოსი, შესაბამის დასკვნებს აკეთებდა და რეაგირებაც შესაბამისი ჰქონდა.

საოცარია, თენგიზ ქაჯაია სამი ათეული წლის უკან აპირებდა ისეთი ინოვაციური მეთოდებით გრანდიოზული პროექტების განხორციელებას, რომელთა გააზრებაც კი ნებისმიერი დონის და დროის მმართველებს გაუჭირდებოდათ.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ თენგიზს „კავკასიური არწივი უწოდა“. როდესაც 1993 წლის სექტემბერში პრეზიდენტი საქართველოში დაბრუნდა, საჯიჯაოში ჯერ საფლავზე პატივი მიაგო თენგოს ხსოვნას, შემდეგ ოჯახს ესტუმრა. მთელი სახლი და ეზო დაათვალიერა. აინტერესებდა თუ სად და როგორ გარემოში იზრდებოდა მისი ერთ-ერთი უერთგულესი თანამებრძოლი. მოეფერა თენგოს მშობლებს ქალბატონ მარგოს და ბატონ მურმანის, აცრემლებულმა პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მათ ასეთი შვილის აღზრდისთვის.

ჩემთვის მიუღებელია საუბრები 90-იან წლებში სამოქალაქო ომის შესახებ. ეს იყო ეროვნული ხელისუფლების დამხობა ქვეყნის მორიგი ოკუპაცია-ანექსიის გზით. თენგიზ ქაჯაია გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე ქართული სახელმწიფოს მტრებთან ბრძოლაში. მას სხვანაირად ცხოვრება აღარ შეეძლო, თენგო ყოველთვის ბრძოლის წინა ხაზზე იყო.

18 მარტი თენგოს დაბადების დღეა. მინდა ამ დიდებული ადამიანის ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, ჩვენს გმირ ხობარებს მივულოცო თენგიზ ქაჯაიას დაბადებიდან 56 წლისთავი, ადამიანისა, რომელმაც მრავალთა ნაცვლად იღვაწა და საკუთარი სიცოცხლე მიიტანა სამშობლოს თავისუფლების სამსხვერპლოზე.

ხობის ღვთისმშობელი შეეწიოს თენგიზ ქაჯაიას და ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისთვის თავდადებული გმირების უკვდავ სულებს!

ნუგზარ (ხვიჩა) შონია.

კვნესოდა კოლხეთი...

„გამსახურდიასთან დამარცხება მირჩევნია, სხვასთან გამარჯვებასო“, ითქვა ეს სიტყვები ეროვნულისა და ანტიეროვნულის გასაყართან, როცა შეეძლოთ აერჩიათ გზა, „გამარჯვებულთა“ და სამუდამოდ დამარცხებულთა შორის.

მან აირჩია ის, რაც რჯულმა უკარნახა, აუკონა, აუკინძა, უფალმა შთააგონა. მისთვის უმთავრესი „ენა, მამული და სარწმუნოება“ იყო...

ხობის პირველი პრეფექტის თენგიზ ქაჯაიას უბის წიგნაკიდან:

„ჩვენ შეიძლება მოვკვდეთ, შევეწიროთ ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ეს არაა ტრაგედია! ჩვენს შემდგომ უფრო დიდი ადამიანები მოვლენ... უფრო დიდი ქართველები, გმირკაცები და საოცრებებს ჩაიდენენ. ისეთს, რომ ისტორიული გმირობები არარაობად მოეჩვენებათ!

...საოცარი ხალხი ვართ ქართველები, მრავალ საოცრებას უნდა ელოდოს მსოფლიო ჩვენგან...“

* * *

ერთგული და გაუბზარავი, მამულსშეწირული სიკეთის ჯარისკაცი, ქართველი გმირი, ღირსებით ნათელმოსილი, ჭეშმარიტი მამულიშვილი.

ადრეც ვწერდი და ახლაც დავძენ... ის თბილისში, რუსთაველის გამზირზე მოკლა ქართველმა...

ქრისტეშობის მშფოთვარე ღამეს ქარი დაჰქროდა, ქარი კი არა ქარაშოტი...

ხეებს ლაწალუწი გაჰქონდა, კვნესოდა კოლხეთის მიწა, ქართული სახელმწიფოებრიობის და კულტურის აკვანი. ო, ღმერთო, ღალატმა და ორგულობამ გრძელი ღამე გამათევია, ყურში კი, სასოწარკვეთილი აბელის ხმა ჩამესმოდა, შეჩერდით!..

ხმა ერისა და ხმა ქვეყნისა არავის ესმოდა...

კვნესოდა სამეგრელო, ეს წარმტაცი კუთხე ქუჯი ეგრისელის, გიორგი ჭყონდიდელის, ცოტნე დადიანის, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების, თენგიზ ქაჯაიასი.

კურთხეულიყოს ფარი და მახვილი საქართველოსი...

დუმილი რეკავს...
ვფურცლავ კალენდარს,
რბიან დღეები,
ბაღში დამჭკნარან
ორჰიდეები,
სულზე ლოდებით
შემოსალტული,
ჩვენი აწმყო და ჩვენი
წარსული...

რა დრო გასულა...

აჰა, გაზაფხულიც შემოიპარა, მზე ამოვიდა, შინდისფერი დროშა აფრიალდა, ჩვენი გმირები მიიცვალნენ ღია თვალებით, მამულზე ფიქრით და აუხდენელი ოცნებებით.

18 მარტი თენგიზ ქაჯაიას დაბადების დღეა...

მოვიდა ახალი დრო, ახალი ჟამი, ახალი ეპოქა, რომელსაც ძალუძს ჭეშმარიტების საკადრისად შეფასება... სანთელ-საკმეველმა თავისი გზა ნახა...

დიახ, საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში თენგიზ ქაჯაიას არ დაუშვია უმცირესი შეცდომაც კი. ის საქართველოს თავისუფლებას და ერთიანობას შეეწირა. ბუნებრივია, იგი თანამებრძოლებისა და თითეული ხობელის ხსოვნაში დარჩა როგორც გმირი, მოწიწებული ხსოვნა მისადმი გაგრძელდება მანამ, სანამ საქართველო იარსებებს და ფასი ექნება სამშობლოსთვის თავდადების შეგნებას, მართალ სიტყვას და სიკეთეს.

დღემდე რჩება თხოვნა და მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან, ხობის მუნიციპალიტეტის ცენტრში დაიდგას თენგიზ ქაჯაიას ბიუსტი, რადგან ასეთი ადამიანების არსებობა გვაძლევს იმის იმედს, რომ ხვალ უკეთესი ქვეყანა გვექნება.

თენგიზ ქაჯაია კი იყო და იქნება ზნეობრივი მაგალითი ჩვენი ახალგაზრდობისა...

ნაირა ბერაია,
„მრგვალი მაგიდა“
თავისუფალი საქართველოს ყოფილი წევრი.

„მიზანი—მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება“

სოციალური მომსახურების სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილება ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით სოციალური მომსახურების სააგენტოზე დაკისრებულ უფლებამოსილებებს.

განყოფილების მიზნებს და ამოცანებს შეადგენს; სოციალური დახმარების პროგრამების პრაქტიკული რეალიზაცია, სახელმწიფო გასაცემლების(სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სოციალური პაკეტი, დახმარება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო) დანიშვნა–ცვლილება და შესაბამისი საქმეების წარმოება; „ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების რეალიზაციაში მონაწილეობა“, მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიული ორგანოს ფუნქციების შესრულება; შრომის ბაზრის ინფორმაციის მართვის სისტემის“ ფორმირებისა და დანერგვის პროცესში მონაწილეობა კომპეტენციის ფარგლებში, დასაქმების სახელმწიფო პროგრამების რეალიზაცია და მონიტორინგი.

განყოფილების თანამშრომლები არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს. ამჟამად ხობის რაიონული განყოფილების სახელმწიფო გასაცემლების მონაცემთა ბაზაში ირიცხება სახელმწიფო პენსიის მიმღები 6703 პირი, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები–112, სოციალური პაკეტის გასაცემლის მიმღები 1325. სოციალურ დახმარებას (საარსებო შემწეობას) ღებულობს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 895 ოჯახი. „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში მესამე და მომდევნო ცოცხლადშობილი შვილის დაბადების გამო ფულადი დახმარების (150 ლარი) მიმღებია 109 მშობელი.

სოციალური მომსახურების ხობის რაიონულ განყოფილებაში ყოველდღიურად ხდება სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია შესაბამის ბაზაში (worknet. gov.ge.), ზარების განხორციელება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების ბაზაში რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებთან სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების სერვისების მიმართულებით თანამშრომლობაზე.

განყოფილებაში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული 2019 წლის „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში „ქრონიკული დაავადების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის“ შესაბამისად ხდება ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების კონსულტირება, შესაბამის ბაზაში რეგისტრირება, რათა მათ შეძლონ შესაბამისი შეღავათებით სარგებლობა.

განყოფილების მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო საქმიანობას ახორციელებს 26 მიმართულებით. შეისწავლის და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პირებისთვის მეურვეობის და მზრუნველობის დაწესების ან გაუქმების შესახებ, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას იღებს სასამართლო პროცესებში. შეიქმნა მეურვეობა–მზრუნველობის მონაცემთა ბაზა, ტარდება ოჯახებში მონიტორინგები, ძალადობის პრევენციის ღონისძიებები, ხდება არაფულად მომსახურების პროგრამის მოსარგებლეთათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება და ა. შ.

მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია იმ სიახლეების შესახებ, რაც მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების კეთილი ნებით ბოლო პერიოდში განხორციელდა:

საქართველოს კანონით „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 30–ე მუხლის მე–4 პუნქტით 2019 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო პენსიის ოდენობა განისაზღვრა 200 ლარით, რამაც გამოიწვია სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებთა ფულადი გასაცემლის ზრდაც.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №683 დადგენილებით ცვლილება შევიდა „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებაში. სწორედ ამ ცვლილების საფუძველზე გაიზარდა სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა წრის ფულადი გასაცემელი, კერძოდ:

სოციალური პაკეტის ფულადი გასაცემელი 2019 წლის 1 იანვრიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთათვის განისაზღვრა **200 ლარით;**

მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთათვის **120 ლარით;**

ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთათვის 100 ლარით;

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებისთვის 200 ლარით;

მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალური პაკეტის მიმღები თითოეული წევრისათვის 100 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებით ცვლილება შევიდა „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 145 დადგენილებაში. სწორედ ამ ცვლილების საფუძველზე 2019 წლის 1 იანვრიდან ოჯახის, რომლის სარეიტინგო ქულა 100001–ზე ნაკლებია–საარსებო შემწეობა განისაზღვრა 50 ლარით ოჯახის თითეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე, ნაცვლად 10 ლარისა.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ „მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ შესაბამისად 16 წლამდე ასაკის პირთათვის განკუთვნილი საარსებო შემწეობა (50 ლარი) საქართველოს მასშტაბით გაიცემა საერთო ფორმით (თანხის ნაღდი ფულის სახით განაღდების უფლებით), ხოლო 2019 წლის 1 მარტიდან მუნიციპალიტეტების ნაწილში, მათ შორის ხობის მუნიციპალიტეტშიც 50 ლარიანი დახმარებიდან 30 ლარი გაიცემა „ბავშვის კვების ბარათით“ (თანხის ნაღდი ფულის სახით განაღდების უფლების გარეშე), ხოლო 20 ლარი ნაღდი ფულით, როგორც საარსებო შემწეობა. ბავშვის კვების ბარათი გაიცემა სებანკო დაწესებულების მიერ და გამოიყენება სურსათის შესაძენად სოციალური მომსახურების სააგენტოში მიმწოდებლად დარეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტთან.

სიახლეა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით“ განსაზღვრულ მოსარგებლეთა კატეგორიების, დაავადებების და მედიკამენტების ნუსხაშიც.

ზემოაღნიშნული პროგრამის მოსარგებლეა:

ა)პირი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში და მასზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000–ს. მომსახურების ღირებულება შესყიდულ მედიკამენტებზე არის არაუმეტეს 1 ლარისა.

ბ) საპენსიო ასაკის მოსახლეობა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, რომელთათვისაც გათვალისწინებულია თანაგადახდა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პროგრამის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტების საბაზრო ღირებულების 50 %–ს.

2019 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა დაავადებათა ჩამონათვალი, რომელთაც ,,ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით“ გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს. კერძოდ გულსისხლძარღვთა, ფილტვის, დიაბეტის (ტიპი2) ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებს დაემატა პარკინსონის და ეპილეფსიის დაავადებები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასევე გაიზარდა პროგრამით განსაზღვრული მედიკამენტების რაოდენობა 2019 წლის 1 იანვრიდან ნაცვლად 23–ისა განისაზღვრა 35 დასახელებით.

ამრიგად, სოციალური მომსახურების სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მრავალფუნქციონალურ, მეტად საინტერესო საქმიანობას ახორციელებს, ასევე მაღალია თანამშრომელთა პასუხისმგებლობა.

დასასრულს, მინდა ხობს, ხობელებს, მთელ ჩემს ქვეყანას ვუსურვო სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც იქნება ხალხის ჯანმრთელობის და დღეგრძელობის გარანტი.

როლანდი ჯიქია,
სოციალური მომსახურების სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილების უფროსი.

როგორ მოვიხმაროთ ნაკლები სუფრის მარილი?

ადამიანები ინფორმირებულები არიან, რომ მარილის ჭარბი მოხმარება საზიანოა მათი ჯანმრთელობისთვის, თუმცა ითვლება, რომ მისი ჭარბი მოხმარება სახიფათოა მხოლოდ მოზრდილთათვის, რაც სინამდვილეს არ წარმოადგენს. ბავშვებში მარილის ჭარბი მოხმარება არტერიული წნევის მატებას იწვევს, რომელიც ჯანმრთელობის პრობლემებს ქმნის მოგვიანებით, კერძოდ, მოზრდილებსა და ასაკოვნებში იზრდება ინსულტისა და მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკი. ამდენად მარილის ზომიერი მოხმარების ჩვევის ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდანვე ძალზე მნიშვნელოვანია. სწორი კვებითი ჩვევების ხელშეწყობის თვალსაზრისით ოჯახის როლი დიდია, სწორედ ამიტომ მ/წლის მარილის კვირეული ფოკუსირებულია ოჯახებზე.

კვება იმ არსებით ფაქტორთაგანია, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზმის ზრდასა და განვითარებას, ჯანმრთელობისა და შრომისმოყვარეობის დონეს, მრავალი არასასურველი ფაქტორის ზემოქმედების მიმართ იმუნიტეტის ხარისხს. ჯანსაღი კვება არ შემოიფარგლება საკვები პროდუქტების ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიკური უვნებლობით, არამედ ასევე აუცილებელია მოზარდი ორგანიზმის მნიშვნელოვანი საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფა, ამავდროულად მავნე პროდუქტების მიღების შეზღუდვა, ჯანმრთელობაზე არაკეთილსასურველი ზემოქმედების თავიდან აცილების და სწორი კვებითი ჩვევების გამომუშავების მიზნით.

სარწმუნო მტკიცებულებები არსებობს იმის შესახებ, რომ მარილის ჭარბი მოხმარება არტერიული წნევის მატების მნიშვნელოვანი მიზეზია და მისი მცირედი შემცირებაც კი უდიდეს სარგებელს მოუტანს ადამიანის ჯანმრთელობას. მარილის დღიური დოზის 5 გრამამდე შემცირება გამოიწვევს არტერიული წნევის კლებას იმ დონემდე, რომლის დახმარებითაც ინსულტით გამოწვეული სიკვდილიანობა 24%-ით შემცირდება, ხოლო გულის კორონარულ დაავადებათაგან დაკავშირებული სიკვდილიანობა 18%-ით შემცირდება.

მარილის ჭარბი მოხმარება გლობალური პრობლემაა, მსოფლიოს მოსახლეობის 75% მოიხმარს რეკომენდებულ ნორმაზე ორჯერ მეტ სუფრის მარილს.

მარილის ჭარბი მოხმარება ასოცირებულია ჯანმრთელობის ისეთ პრობლემებსა და მდგომარეობებთან, როგორიცაა ოსტეოპაროზული ცვლილებები, კუჭის კიბო, თირკმლის ქრონიკული დაავადებები, კენჭოვანი დაავადებები, ზოგადი სიმსუქნე, დიაბეტი.

შეზღუდული რაოდენობით უნდა მიიღოს მარილი ბავშვმაც, რადგან გემოვნების რეცეპტების ფორმირება ხდება ადრეულ ასაკისას და ბავშვი აქედანვე ეჩვევა ნორმის ფარგლებში მარილის მიღებას.

თანამედროვე რეკომენდაციებით მარილის დღიური მოხმაების ნორმა არ უნდა აღემატებოდეს 6 გრამს.

მარილს დიდი რაოდენობით შეიცავს დაკონსერვებული და შებოლილი პროდუქტები, მათი მიღების რაოდენობა უნდა შეიზღუდოს მაქსიმალურად.

ჭარბი რაოდენობის მარილის მიღების შემცირების მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ ალტერნატივა, რაც გულისხმობს საკვების გემოვნებითი ღირებულების ასამაღლებლად გამოყენებულიქნას ქართული ტრადიციული სანელებლები: ლიმონის წვენი, ძმარი, ხახვი, ნიორი და სხვა.

მოზარდებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორი დამოკიდებულების შენარჩუნება მარილის მიმართ, რათა არ ჩამოყალიბდეს სხვადასხვა დაავადებების განვითარების რისკების საფუძველი.

ბავშვებში დაბალი შემცველობის მარილიანი საკვების მიღების მოდელი დაეხმარება მათ ჯანსაღი გემოვნებითი მახასიათებლების ფორმირებასა და მოზრდილებში რეკომენდაციათა შესრულებაში.

ბავშვთა ასაკში მარილის რეკომენდებული დოზები:
0–6 თვე ნაკლები 1 გრამზე დღეში;
0–12 თვე 1 გრამი დღეში;
1–3 წელი 2 გრამი დღეში;
4–6 წელი 3 გრამი დღეში;
7–10 წელი 5 გრამი დღეში;
11 წელი და მეტი 6 გრამი დღეში.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე-ექიმი პროფილაქტიკოსი.

სულთათანა

სპარტაკ ბუკია

ბოლო პერიოდში ქართულმა საზოგადოებამ ტელეიმედის საშუალებით იხილა ჩვენი რაიონის მკვიდრი და მისი ღირსეული შვილი სპარტაკ ბუკია, როგორც სურამში მდებარე ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების აღდგენის მთავარი შემოქმედი. მიუხედავად ჯანმრთელობის პრობლემებისა, სპარტაკმა შეძლო შინაგანი ენერგიის მობილიზების ხარჯზე დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. მანამდე კი, იყო სპარტაკის მთელი ცხოვრება, რომელიც შეიძლება შეფასდეს როგორც მაგალითი თავგანწირვისა და სამშობლოსთვის, მოყვასისთვის თავდაუზოგავი მსახურებისა.

ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს კარგად ახსოვს ქვეყანაში მიმდინარე 9 აპრილის შემდგომი მოვლენები. საქართველო იდგა გზაგასაყარზე - ან უნდა დავრჩენილიყავით რუსეთის სახეშეცვლილ იმპერიაში ან გვეძებნა დამოუკიდებლობის მოპოვების გზები და ასეთ მძიმე პერიოდში, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხობის ორგანიზაციას შეემატა 19 წლის ჭაბუკი სპარტაკ ბუკია, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტი, რომელმაც დროებით შეწყვიტა უნივერსიტეტში სწავლა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა რიგებს შეუერთდა როგორც რიგითი ჯარისკაცი.

ის ხელმძღვანელობდა ორგანიზაციის ყველაზე რთულ უბნებს. იყო ხობის დამოუკიდებელი მედია-ცენტრის (პრეს-ჯგუფი) ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გაზეთ „გზის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ხობის ტელევიზიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის „სოციოლოგის“ წევრი. იყო „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ და „წმინდა ილია მართლის“ რაიონული ორგანიზაციების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. აქტიურად მონაწილეობდა 1990 წლის 28 ოქტომბრის ისტორიულ არჩევნებში.

სპარტაკმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის საქმეში. ის იყო ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, თენგიზ ქაჯაიას ღირსეული თანამებრძოლი.

სადაც და რა ვითარებაშიც არ უნდა ყოფილიყო, გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით. იყო საოცრად ნიჭიერი და სხარტი გონების ადამიანი. თვალის ერთი შევლებით იმახსოვრებდა ნებისმიერი მოცულობის ტექსტობრივ მასალას. დროის მცირე მონაკვეთში შეეძლო მოვლენათა გაანალიზება და ყველაზე სწორი, საუკეთესო გადაწყვეტილების მიღება. სიკეთის ქმნის განსაკუთრებული ნიჭი და შინაგანი მოთხოვნილება გააჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 25 წელი სპარტაკი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, მას ხობი და ხობელები არასოდეს მიუტოვებია. თუნდაც მცირე, პირად რესურსს ახმარდა არა მარტო ნაცნობ-მეგობრებს, არამედ სრულიად უცნობი ადამიანების დახმარებას. სპარტაკი იყო მაგალითი შეხიდებისა და ამას ყოველთვის აკეთებდა ყოველგვარი ანგარების გარეშე. ამავე დროს იყო საოცრად კომუნიკაბელური. ძალიან ადვილად ამყარებდა ურთიერთობას ნებისმიერ, თუნდაც დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციის მქონე ადამიანებთან. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მას დახმარების თხოვნით მიმართავდნენ ათეული წლების მანძილზე და როგორც წესი ყველას უწვდიდა ხელს.

როდესაც იცნობ სპარტაკის მიერ განვლილ ცხოვრებას, უნებურად გახსენდება დიდი ილიას სიტყვები:

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე;
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო,
აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?“

ამ სიტყვებს ის ყოველდღიურად ეხმაურებოდა და ამაზე მეტყველებენ მის მიერ გადარჩენილი ადამიანების ისტორიები.

სპარტაკი ვერ იტანდა უსამართლობას. შეიძლება თამამად ითქვას რომ ის გახლდათ უსამართლობასთან მებრძოლი რაინდი. მან თავისი ღირსეული და გამორჩეული ცხოვრებით დაამტკიცა, რომ ის ცოტნეს ოდაბადედან, ხობის რაიონიდან იყო. სამწუხაროდ, ქართულმა სახელმწიფომ სრულად ვერ გამოიყენა სპარტაკ ბუკიას, როგორც უნიკალური უნარ-ჩვევების მქონე მენეჯერის, ორგანიზატორის, ეკონომიკურ მეცნიერებათა და ადამიანურ ურთიერთობათა დოქტორის, სამშობლოსათვის თავდაუზოგავი მოღვაწის შესაძლებლობები. დარწმუნებული ვარ, მის საქმეთა შესახებ მომავალში ბევრი ითქმება და დაიწერება.

მინდა მივუსამძიმრო სპარტაკის მშობლებს, ბატონ კოკის და ქალბატონ სვეტას. მათ ღირსეული შვილი გაუზარდეს ქვეყანას. ვუსამძიმრებ სპარტაკის მეუღლეს, დიდ ქალბატონ თამუნა ნადირაძეს, შვილებს, საოცრად ნიჭიერ და ულამაზეს ანას, კოკას, ნიკოლოზს და ანდრიას. ვუსამძიმრებ დიდ ჭირისუფლებს, ახლო ნათესავებს, კეთილ მეგობრებს, გულითად მეზობლებს. ჩვენ ყველამ ერთად დავკარგეთ ჩვენი კეთილი სპარო.

დიდება ჩვენს ტკბილ იესოს და ვთხოვოთ შენდობა შეცოდებათა!

ხობის ღვთისმშობელი შეეწიოს სპარტაკ ბუკიას უკვდავ სულს და ყველა მის ახლობელს!

ნუგზარ (ხვიჩა) შონია.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა

სპარტაკ ბუკია

და თანაუგრძნობენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

ნაღდი ქართველის, ეროვნული მოძრაობის ერთგული ჯარისკაცის, უღალატო მეგობრისა და თანამებრძოლის **სპარტაკ ბუკიას** ნაადრევად წასვლამ დაგვიტოვა დიდი ტკივილი და მწუხარება.

ვუსამძიმრებ მის ოჯახსა და ახლობლებს.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი მართალი სული.

ნაირა ბერაია

ჩვენი სპარო...

როგორ თანდათან მოკლდება წუთისოფელი, როგორი სიმრუმით იჟღალება ფერები ლურჯი, როგორ ეცლება ღიმილის „ბოძი“ ერთდროს უდარდელ და საოცნებო სამყაროს, ასე რომ გვახარებდა და გვიტაცებდა ჭაბუკობით გახმამაღლებულთ!

წავიდა... მიდიან ღირსეული ადამიანები, თვალდასარჩენი სილამაზისა და უკიდეგანო სიკეთის შემძლები ქართველები... თქვენამც გაგინათლდეთ გზასაწიერი, თქვენამც მოგეწიოთ სურვილი უფლის...

„იმდენი კარგი ვაჟკაცი მოკვდა, ამათზე კარგი ვინ უნდე მოკვდეს“-ო იკითხა დიდმა მუხრანმა, მაგრამ რო კვდებიან, რო გვტოვებენ უდროოდ და აჩქარებულად?!

სპარო, ჩემო კეთილო მეგობარო, გული დამწყდა კი არა, სული შემეკუმშა, სიცოცხლე გამიარაფრდა, ეს რა უბედურებაა...

ნათელი დაგადგეს, სპარტაკ ბუკიავ, ღირსეულო მამულიშვილო... თვალწინ მიდგას შენი შეუპოვარი და განსაკუთრებული გამოსვლები... ხობელი ზვიადელების ლიდერი იყავი და გიხდებოდა კიდეც, შენი პატიოსნებიდან და შეუპოვრობიდან გამომდინარე!..

ქედს ვიხრი, ძმაო, შენი ხსოვნის წინაშე და ვუსამძიმრებ ყველას, ვისთვისაც სპარო–ეს ლამაზი და კეთილი ბიჭი დარჩება სიყვარულისა და მეგობრობის, ოჯახიშვილობისა და კაცობის სიმბოლოდ!

განსაკუთრებით ვუსამძიმრებ შენს ოჯახს... შენი ნამუსის ურყევ ნიშანსვეტს!..

ლაშა გვასალია.

აგული აბრამია



გარდაიცვალა **აგული აბრამია**... მან სიცოცხლეშივე მოიპოვა ნამუსიანი, შრომისმოყვარე, უპატიოსნესი, კეთილშობილი ადამიანის სახელი...

რედაქციის არქივში უხვადაა მისი ცხოვრების ამსახველი მასალები, ფოტოები...

პატივი და დიდება არასოდეს აკლდა... რაიონის აღმშენებლობაში აქტიური მონაწილეობისთვის აგული აბრამია დაჯილდოებული იყო მედლებით, ორდენებით, მრავალგზის იყო ყრილობების დელეგატი, როგორც დამსახურებულ მექანიზატორს განსაკუთრებული წვლილი შეჰქონდა კოლხეთის ათვისების საქმეში, მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრებამ როდი გაანებივრა. წლები ცალუღელად ატარა ღირსეული მამისა და ბაბუის სახელი...

ვალმოხდილი წავიდა ოჯახისა და ერის წინაშე. სწორედ მასზე იყო ნათქვამი „წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე ესეც გმირობაა დიდი“.

დასანანია, რომ კიდევ ერთი ნამუსიანი კაცი დააკლდა წუთისოფელს. წავიდა ჩუმად და ისე უპრეტენზიოდ, როგორც იცხოვრა.

გაზეთ „ხობი მოამბეს“ თანამშრომლები ვუსამიმრებთ მის ოჯახს, ინგა და ირაკლი შონიებს მამისა და სიმამრის **აგული აბრამიას** გარდაცვალების გამო.

ნათელი დაადგეს მის ხსოვნას...

ანრი ჯგერენაია

ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე. სამწუხაროდ, ხშირად არასასიამოვნო, უფრო მეტიც, უბედურებით დამთავრებული...

უკვე მეოთხედ მოდის ავადმოსაგონარი დღე–12 აპრილი ლეილა და გია ჯგერენაიების დიდი ოჯახისთვის, ახლობელ-ნათესავებისთვის, ხობის №2 საჯარო სკოლისთვის...

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს უბედურმა შემთხვევამ, ავტოავარიამ, შეიწირა 11 წლის ანრი ჯგერენაიას სიცოცხლე... ახლა იგი ხობის №2 საჯარო სკოლის მეცხრე კლასელი იქნებოდა...

გაუსაძლისმა ტკივილმა მოიცვა გარშემო ყველა და ყველაფერი. დედისა და დების მარისა და ნინოს გოდებამ ქუჩიდან ქუჩას გადაუარა და ახლობლების, ნაცნობების გულისგულში მოუშუშებელ ტკივილად დარჩა. მას შემდეგ 4 წელიწადი გავიდა, ოთხი ტკივილიანი წელიწადია მის ხსოვნას ნათელი ადგას...

ყოველწლიურად ქ. ხობში, საჭადრაკო კლუბ „ლაზიერში“, მისი ბიძის რომან ჯგერენაიას მეცადინეობით ანრი ჯგერენაიას სახელობის ტურნირი ტარდება ჭადრაკში...

წელსაც ასე იყო. ტურნირმა, რომელშიც 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა, და ორგანიზებას საჭადრაკო კლუბი „ლაზიერი“ უწევდა, გამარჯვებულები გამოავლინა (I ადგილი–ბადრი ლომაია, II ადგილი-ნიკა ბუკია, III ადგილი ბესო ქირია). მოჭადრაკეები თასებით, სიგელებით, პრიზებით და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

...ანრი ჯგერენაიას სხივნათელი სული ზეცაში აღევლინა და დაიმკვიდრა სასუფეველი...

სიცოცხლით სავსე, ულამაზესი, ჯანმრთელი, მოსიყვარულე, ნიჭიერი, ზრდილი და კეთილშობილი–ასეთად დარჩა იგი ყველას მეხსიერებაში, ჯერ კიდევ პატარამ სამუდამო სიყვარული და არდავიწყება დაიმკვიდრა.

12 აპრილს მისი ახლობლები, კლასელები (რომლებიც არაერთხელ სტუმრობენ მის მუდმივ ადგილსამყოფელს) კიდევ ერთხელ მიაგებენ პატივს მის ხსოვნას, კიდევ ერთხელ გაიხსენებენ მისი ხანმოკლე სიცოცხლის ეპიზოდებს, იტყვიან მის ნიჭიერებაზე, კეთილშობილებასა და დიდ სიყვარულზე, რომელიც სიცოცხლის წყურვილით განისაზღვრებოდა...

ანრი მუდამ იცოცხლებს, მისი სახელი, როგორც ცოცხალის ისე შეავსებს ჯგერენაიების საგვარეულოს, მის სამეგობროსა და სანათესაოს კი ყოველთვის დარჩება დიდ ტკივილად და ლამაზ მოგონებად.

მერი ლაგვილავა.

წყალობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

ჩვენდამი ღვთისწყალობაა, კოლხეთის ულამაზეს დაბლობს, რომ ამშვენებს და სულიერად აძლიერებს, არაერთი ისტორიული წიაღსრულების მომსწრე დღენიადაგ მლოცველი, მფარველი ნოჯიხევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის დედათა მონასტერი. ადგილი, სადაც უამრავი ღვთისმადიდებელი შვილი აღიზარდა. სადაც ჩვენსავე თავისთვის აკიაფდა, გზის მანათობელი სანთელი, აღევლინა არაერთი მართალი სიტყვა, ასევე არაერთხელ აუღერებულა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ღვთისმშობელისა თუ მოციქულთა სადიდებელი ჰიმნი–ქართული საგალობელი, ქართული ხალხური სიმღერის ფუძეთა–ფუძე ძირძველი ქართული ჰარმონია–ჩაწნული პოლიფონიაში. მინდა გავიხსენო 1891 წლის შუახანები, როცა გურია–სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლ დადიანის კარზე პატარა ძუკუ ლოლუა მიიყვანეს დავითნის შესასწავლად. საბედნიეროდ, იმჟამად იქ იმყოფებოდნენ რჩეული მგალობლები: ანტონ დუმბაძე, დიმიტრი ჭალაგანიძე-შემდგომში ძუკუს მასწავლებელი, ასევე გახა ჩიქოვანი, ალექსი მგელაძე, ძმები ნესტორ და ანდრია კონტრიძეები, დავით ჯინჭარაძე, დიაკვნები: კალისტრატე სალაძე, სერაპიონ კალანდაძე ამ მგალობელთა კოჰორტამ აღზარდა მეგრული სიმღერის პატრიარქი ძუკუ ლოლუა, რომელიც, შემდგომ ხობის მონასტრის ბერმონაზონ დავით ჯაშთან გაამწესეს სასწავლებლად, მან ამ ეკლესიაში მიიღო პონორამის მოწმობა. ძუკუს სწავლის პერიოდში ხშირად ჩამოდიოდნენ ნოჯიხევში ზემოთ ჩამოთვლილი მგალობლები და არაერთი გალობა უთქვამთ ღვთის სადიდებლად, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლ დადიანის ლოცვა-კურთხევით.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, წარმოვიდგინოთ მათ მიერ შესრულებული საგალობელთა ჟერარადობა, როცა ისტორიული დოკუმენტები გვაუწყებენ სათნო ცნობებს. ვფიქრობ, საუკეთესოა იცოდე და ეძიებდე წარსულს. ფიქრობდე მომავალზე, რათა ახალმა თაობებმა შეიმეცნონ ღვთის მადლი ერის წარსულის თუ მომავალი გზის ფასი, ახსოვდნენ თუ ვისი გორისანი ვართ. რამეთუ ღმერთი არის ნათელი ჭეშმარიტი. ნათელი–სულიერებას გამოხატავს და საგნებსაც ასულიერებს. ასეთი საინტერესო ფრაზაც არსებობს „ნათელი წყალში არ სველდება“. ბრმა ჰომეროსი, შინაგან ნათელს განიცდიდა, მას ხედავდა „გონების თვალით“, პლატონი კი ხილულ ნათელზე ამბობდა „თვალს იმიტომ ძალუძს აღიქვას ნათელი, რომ თვითონ ჰგავს მზეს“. ნათელი თავისთავად წმინდად და შეურყვნელად რაღაცას გამოხატავს, ამ სულიერი ნათელით დღედაღამ იღწვიან ნოჯიხევის მონასტერში დეკანოზი მამა ილია, იღუმენია ანა, მონოზონები დედა ეკატერინე, დედა მარიამი, დედა ბარბარე, დედა სალომე. ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტის მეუფე გროგოლის ლოცვა კურთხევით. მრევლის სულიერებაზე მოფიქრალი, მზრუნველი, სიყვარულით შეკრული სასულიერო დასი–კრებული.

საეკლესიო სწავლება გვასწავლის და თვით მაცხოვრის შობა გვკარნახობს ყველაფერს: მაცხოვარი მარადიული ნათელი განთიადისას იშვა. მოვიხმოთ ხალხური გარდათქმა „თუ სიბნელე არ გინახავს თვალს ვერ დასდევ ნათელსაო“ ე.ი. არსებობს სიბნელე, რათა უფრო მეტად დასდო ფასი სინათლეს, შუქს. ლიტურგიული მწუხრი ფასობს იმით, რომ მას მოჰყვება ცისკარი, ცისკარი ფასობს იმით, რომ ის არის დაძლევა სიბნელისა.

სიბნელის დაძლევას ახალგაზრდა ენერგიული ჭაბუკი გიორგი შავლიაშვილი დეკანოზი მამა ილიას, იღუმენია ანასა და მონაზვნების დედობრივი ზრუნვის მეოხებით შეუდგა მორჩილების პირველ საფეხურს, მორჩილებით მსახურებას ეკლესიის წიაღში „პატარა კახმა“ ერთგულება, კახური სითბო მზიანი ღიმილი უშურველად ჩათესა ეკლესიის მრევლში, ვითარცა სოსანი ვარდის სურნელის მოსაფრქვევად.

ჩვენი მონასტრის ცხოველ კედლებში, სულიერების სავანეში 2019 წლის 3 იანვარს, მრავალვნებული ანტონ მეორე სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ხსენების დღეს, 15:30 წუთზე, აღსრულდა ემოციურად აღსავსე, მორჩილი გიორგის ბერად აღკვეცის ცერემონიალი. ვიხილე რა მრევლისთვის საყვარელი ახალგაზრდა, მორჩილი გიორგი შავლიაშვილის მეტამორფოზა–ფერიცვალება მორჩილებიდან ბერობამდე გაზრდილი კვლავ მომღიმარი, ბედნიერი მამა ანტონი, წუთიერად გავიფიქრე, რადგან ანტონ მეორის ხსენების დღეა, ამიტომაც დაერქვა წმინდანის სახელი მეთქი, მაგრამ ოი, საოცრებავ, ამ ფიქრის თავზე ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე გრიგოლმა მრევლს გვაუწყა, თურმე მსახურების დაწყებამდე იყო წილისყრა, მონოზონობისთვის გამზადებულმა მორჩილმა გიორგიმ თვით ამოიღო სახელი ანტონი. ჩემზე ყოველივემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რამეთუ მან უფლისთვის დაუტევა ყოველივე ამსოფლიური, აიღო ჯვარი მძიმეც და მსუბუქიც. აღტაცებული ყველას ვუზიარებდი სიხარულს ესოდენ დიდი ემოციური ფონის ზეგავლენით ვეღარ დავიძინე. იმ წკურიანტელ ღამეს თვალგახელილი ფიქრებით ტაძარში ვიყავი. ამეკვიატა ფიქრი თუ რაოდენ დიდია ღმერთი უფალი, რომელიც გამოგვიჩნდა ჩვენ... უფალი, რომელიც ანათებს და ათბობს ქვეყნიერებას. მინდა მოვიხსენიო ანტონი დიდის სიტყვები „ჭეშმარიტი სიხარული ღვთისაგან მომდინარეობს, მხოლოდ იმას მიენიჭება ვინც განუწყვეტლივ აიძულებს თავს, უარყოფდეს საკუთარ ნებას და ყოველივეში მხოლოდ ღმერთის ნებას ასრულებდეს.

მამაო ანტონ, უფალმა გაგაძლიეროთ, ქრისტეს მადლი არ მოგკლებოდეთ, ერსა თუ ბერს თქვენთვის ეთქვას–მომეცით ხელი, რომ გეამბოროთ.

ღრმა პატივისცემით ნანა ჯალაღონია, ნოჯიხევის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის მრევლთა-განი. 2019 წელი, მირკანი.

მკლავჭიდელთა ჯამარჯვება

თბილისში გამართულ საქართველოს მკლავჭიდის ჩემპიონატზე ხობელმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს და 4 ოქროს, 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ. ოქროს მედლის მფლობელები საბა დანელია, საბა ლატარია, ანდრი ბუკია და გოჩა სიჭინავა გახდნენ, ვერცხლის მედალი ნიკა ხომერიკმა, გიგა კოდუამ და დათუნა ჯიშკარიანმა მოიპოვეს, ხოლო ბრინჯაოს მედალოსნები გიგა დანელია და დიტო ბუკია გახდნენ.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ულოცავს ხობელ მკლავჭიდელებს, მწვრთნელს და მათ გულშემატკივრებს ამ დიდ გამარჯვებას და მომავალ წარმატებებს უსურვებს მათ.

საქველმოქმედო აქცია პირველი მაისის და თორსის ადმინისტრაციულ ერთეულებში

ამერიკელი ხალხის საჩუქარი!

არასამთავრობო ორგანიზაცია განთლების და განვითარების ცენტრი „თოლისკურის“ ორგანიზებით პირველი მაისის და თორსის ადმინისტრაციულ ერთეულში საქველმოქმედო აქცია განხორციელდა. აქციის მიზანია სოფელში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფებისთვის სხვადასხვა სახის დახმარების გაწევა (ტანსაცმელი, თეთრეული, სათამაშოები).

აქცია პერმამენტულ ხასიათს მიიღებს.

მოლოცვა

ნიურა ზარქუა-ცხადაია

ჩვენო საყვარელო ბებო, 19 მარტი შენი დღეა... შენი ნაჯაფი, დანაოჭებული ხელების სითბო გვათბობს და გვილამაზებს სიცოცხლეს. ოთხი შვილის გამზრდელ ბებიას გვინდა მოგეფეროთ, მოგილოცოთ დაბადების დღე, 83-ე გაზაფხული. ვიცით, როგორი ცრემლიან-ტკივილიანია შენთვის ყოველი დღე, რადგან წლებია შენი ქალიშვილი, მამიდა მანონი, ზეციურ საუფლოს შეუერთდა... მიუხედავად გულწუხულიანი სიცოცხლისა, ჩვენთვის ყველაზე თბილი, უსაყვარლესი ბებიკო ხარ.

გვინდა დიდხანს, დიდხანს იცოცხლო ჩვენდა გასახარად. გვიყვარხარ, გვჭირდები...

შვილიშვილები და შვილთაშვილები.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა– ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.